კ-3 კოეფიციენტის ათვისების დენდროლოგიური პროექტი

სამშენებლოდ გამოყენების პირობები (**AR** 1578703) მოთხოვნილი კ-3 = 0,2

პროექტით გათვალისწინებული გამწვანების კოეფიციენი კ-3 = 0,2

საკადასტრო კოდი: 01.19.15.001.023

მიწის ნაკვეთის ფართი: 6753 კვ.მ

მისამართი: ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, მე-20 კილომეტრი, (ნაკვ. 01/023)

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

მესაკუთრე: შპს "ფრანკო" (431171199)

კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი:
კ-3=1376,65



დამკვეთი: შპს "ფრანკო" (431171199)

შემსრულებელი: შპს "სილვა გრუპი"

დირექტორი: დავით კობახიძე

ტბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო სახელოსნო ლიცენზიანტი პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №0 3859998

გაცემის თარიღი: 13/03/2018 — გაწერის თარიღი: 13/03/2018

განაცხადის ნომერი: AR15178703

შემოსვლის თარიღი: 19/02/2018

მოკლედ: თანმიმდ

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი.

- საკადასტრო კოდი: 01.19.15.001.023
- მისამართი: ქალაქ თბილისი , გზატკეცილი კახეთი , მე-20 კილომეტრი , (ნაკვ. 01/023) ;
- ნაკვეთის ფართობი/ზომა: არასახელოსნო საშუალო
- ფართობი: 6753.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ფრანკო" (431171199)

ნათესაობა :

- მიწის ნაკვეთის საშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის საშენებლოდ გამოყენების პირობების ფარგლები
- საშეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

დამკვეთი - განმცხადებელი:

- თეიმურაზ შენგელია 01035010135592
- მისამართი: რუსთაველი იაკუშებაძის ქ. კორ. 7 ბ. 12

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

- საზოგადოებრივი სახელწოდება, გამწმა დასაბეჭდითად, ზღის მხრივად:
- უკანა ეზო: ----------
- მიწისპირულად დასაშვები სიმაღლე განაშენიანების საზოგადოებრივი პირობებიდან გამომდინარე:
  ფორმულით H=L/N, სადაც:
  - H - განშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის მანძილი;
  - L ნარჩენალაგზე დაშორების მერიმეტრი და სახლთაგორიდან ხილული ბაზის სამეზობლო სახლამის შორის
  - N= წარმოადგენს კოეფიციენტს, რომლის მნიშვნელობაა: 0.4 – ყველა სხვა ზონისათვის.

შენიშვნა: მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები, მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის და მათი ზომების საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრის კონკრეტული წესები იხილეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულის 2016 წლის 24 მარტის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების განშენიანების რეგულირების წესების“ V თავი.

III. დამატებითი / სპეციალური მოთხოვნები მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობების) სამშენებლო განცხადების მიმართ

1. განთავსებულ/ნებადართული ტექნიკური რეგლამენტები:
   დაცულ იქნას „შენობა-ნაგებობის შესაძლებლობის ჩქარი პირქმასთვის სიფრთხილის და არქიტექტურული და ტექნიკური ფილებების“ ტექნიკური რეგლამენტის (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით) მოთხოვნები;
2. ტერიტორიის გეოლოგიური და გამწვანება:
   - მიწის ნაკვეთი საკადასტრო სახლებში საჭიროა გეოლოგიური გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მინიმალური მნიშვნელობის დაცვით;
     მაქსიმალურად შენობებით ნებადართული ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეები, სოლო მათი მაჭრის ან ამოძირკვა(ამოღება)-გადარგვის (გარდა ხელ-ტყეროვანი მარგებლობა) აუცილებლობის შემთხვევაში, მოქმედი იქნას შესაბამისი წესრიგი ქ. თბილისის მერის ეკოლოგიის და გამწვანების სამსახურთან.
3. შენებლობის ნებართვის გაცემისა და სამშენაროო პირობების შესრულების ხაუკარისობის უზრუნველყოფა: ნებართვის გაცემის თითოეული სტადიზე გამეხადების შეტანის პოტენციალის ელექტრონული იქნეს შესაბამის ორიგინალზე (შენობა-ნაგებობაზე), ფოტოსახით ადგილის სამეფოსკვეთი დაფის გამაკეთება სამშენებლო დოკუმენტები შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის სიმენტრალური დაფის განაცხადებული ინფორმაციის არსს, უნდა გამოქვეყნდეს სათანადო დაფაზე, სამუშაოთა ადგილის მიმდებარე გარემოს A2 ზომის ფორმატი. სათანადო დაფა უნდა პრეზენტდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მიღებ პერიოდში და მოიცავდეს ნებართვა-ნაგებობის შენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. დაფაზე ასევე მითითებული ინფორმაციის გამოყენება.

შენიშვნა: კონკრეტული წესები იხილეთ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით დამტკიცებული „შენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების VIII თავში.

...ობიექტის ელექტრონული დამმწყობელება :

- ...ტელეფონი: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მუ-5, 51-ე, 52-ე, 95-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული „შენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების განშენიანების და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მაჩვენებლებლობის ზედნიერული გეგმის“ თანახმად.

ბრძანება

1. დაბრუნდეს მიმართვის თარიღად 2018 წლის 19 თებერვალს AR15178703 განაცხადის და დამტკიცდეს თანდართული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
2. განმცხადებელს დაევალოს, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დარღვევა ადგილობრივი კონკრეტულ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაობის განსაზღვრულებლად შესა სიფრთხილეზე დაეცა მშენებლობის განსაზღვრულების დარღვევა) და ერთ ნაწილში მისი გაგების თარიღიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ქ. ზარტყების ქ. №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები

I. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

საკადასტრო კოდ(ებ)ი: 01.19.15.001.023
ფართობი: 6753 კვ მ.
მიზნობრივი დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო;
ქალაქმშენებლობითი ზონები, რომლებიც ვრცელდება ნაკვეთზე:

- ფუნქციური ზონების:
  სპეციალური ზონა I (სპეც-1) ---- სპეციალური კქცხა.ნა, რომელიც მოიცავს არქიტექტურულად ხაგამსახლებლო, სამეურნეო. სამეციალი, ასევე სხვალაც ინფრასტრუქტურის მოსახეურნების და სასენეთის გამოყენების ტერ ტერიტორიას;
- ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონა:
  პერიფერიული ზონა (პზ) – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ზამნით გამოყოფილი ტერიტორიული ულქმენტი;
- განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა: ----------
- განსაკუთრებული სარეკრეაციო ზონა: ----------
- კულტურული მემკვიდრეობის ზონა: ----------
- ბარქის დაცვის ზონა: ----------
- ნორმატიული ფასის ზონა: ზონა 140, (ფასი: 14 ლარი)

სპეციალური რეჟიმები: --------

II. ძირითადი მოთხოვნები მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განკითარების მიმართ

1. სამშენებლო განკითარების მიზანი
   - მშენებლობის სახეობა: ახალი მშენებლობა;
   - სამოსახლო ობიექტი: საწყობი;
   - ფუნქციონალური ზონა: სპეციალური, სპორტული;
2. განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრები

კომერციული ფუნქციური ზონის პარამეტრები:

კ-1		–	პუნქციური
კ-2		–	ფუნქციური
კ-3		0,2	ფუნქციური
სატრანსპორტო პარკირება		–	ერთეული
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	..	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	–	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	–	მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე		–	მეტრი

შენიშვნა:
კოორდინატების ამსრიბის წესი ისაზეთი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების განშენიანების და განაშენიანების რეგულირების წესების“ მუ-11, მე-12 და მე-13 მუხლებში.

3. მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა

- განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზი: -------
  - დანიშნულება:----------
  - შეზღუდვა. ----------
- განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზი:
  - დანიშნულება:----------
  - შეზღუდვა:----------

- II თავში მოცემული ძირითადი მოთხოვნები (პარამეტრი) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განკითარების.
- III თავში მოცემული დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებულია „შენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 განკარგულებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის განშენიანების დარეგულირების რეგულირების წესების“ და სხვა მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების და ნორმატივების.
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას შენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.

IV. ზოგადი მითითებები და რეკომენდაციები

1. არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებული იქნეს:
   - 2017 წლის 01 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის, 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებაა ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება კანონმდებლობის შესაბამისად გამაშენიერულ III, IV კლას დაცვებულ/არსებულ შენობებსა და ნაგებობების დიაგნოზირებაზე და შენებლობაზე (რომლის მოთხოვნებიც გათვალისწინებული იქნეს საქონლებისპირებ)

     ტერიტორიაზე არსებული საინჟინრო კომუნიკაციები და სხვა ხასიათის ნაგებობები (არსებობის შემთხვევაში) – დაცული იქნეს საშენებლო ნორმები; მათი გადატანის საკითხების შეთანხმება, წარმოდგენილ იქნეს ცნობა/თანხმობა შესაბამისი სამსახურებისაგან/შესაკეთებლად;
   - ტერიტორიის გამწვანება;
   - სანიტარული ეკოლოგიის განსაზღვრულად ადეკვატების შენობა;
   - გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები:
     ღია ატმოსფეროების გამოკვლევა საჭიროებისა მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში ამბათან, არაორგანული და ორგანული ნივთიერებების პირობებში, სატრანსპორტო საშუალებების შენახვის ‘რეკომენდებული სახეობა ატმოსფეროში ნივთიერების გამოყენებით (მიწის ქვეშ ატმოსფეროების);

შენიშვნა: არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა იხილეთ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების 47-ე მუხლში.

2. მშენებლობის წებართვის მისაღებად წარმოსადგენ დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იქნეს:
   - მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოთავისუფლების;

არსებობის შემთხვევაში იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოთავისუფლების.

- მშენებლობის ორგანიზების პროექტის მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი, მშენებლობის უსაფრთხოების ხაწარმოებლობის გათვალისწინებით;
- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდა ადმინისტრაციული ორგანოს განმარტების მიხედვით 1 კვ.მ-ზე 1 ლარის ოდენობით;
- ხარჯთაღრიცხვა დაფის (ბანერის) შესახებად განსაზღვრა და ფოტომონტაჟი (ტაიპადების ასლი და შორი მანძილიდან);

შენიშვნა: მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტები იხილეთ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების 53-ე მუხლში.

- I თავი ასახავს საკეთებელთან ინვარიანტის - სამოქალაქო ინსტრუქციაში მიწის ნაკვეთის შესახებ რისაც, ამრიგად შეიცავს შენობა-ნაგებობის განშენიანების არის დაგეგმილი.

ფორმატი	თბილისი 2018წ	ფაილის სახელი
	დაკვეთა №	
შენობა ნაგებობის ფუნქცია		
საწყობი		
ტექ. მაკვეთებლები		
პირობითი აღნიშვნები:		
ნაკვეთის საზღვარი		
ჭრილის ხაზი		
არქიტექტურული ნიშნული		
დამკვეთი: შპს "ფრანკო"		
მისამართი: ქ. თბილისი. კახეთის გზატკეცილი მე-20 კილომეტრი		

თარიღი		
კორექტირება		
№	კორექტირება	თარიღი
1		
2		
3		
4		
5		
6		

საპროექტო ჯგუფის წევრი		
თანამდებობა	სახელი	ხელმოწერა
დირექტორი	დ. კობახიძე	
არქიტექტორი		
არქიტექტორი		
შეასრულა	დ. კობახიძე	
საპროექტო ფირმა	შპს "სილვა გრუპი"	
	ქ. თბილისი. TEL: 551 60 62 26	

ტექნიკური პირობა		
მასშტაბი	-------	
თარიღი	15/04/2018წ	
სტადია	ფორმატი	ფურცლები
პროექტი	A-3	

კიპარისი 100 ცალი



ტუია 30 ცალი



მინდორი 1376,65 კმ





ფორმატი	თბილისი 2018წ	ფაილის სახელი
	დაკვეთა №	

შენობა ნაგებობის ფუნქცია

საწყობი

ტექ. მანევნებლები

პირობითი აღნიშვნები:

ნაკვეთის საზღვარი

ჭრილის ხაზი

არქიტექტურული ნიშნული

დამკვეთი: შპს "ფრანკო"

მისამართი:

ქ. თბილისი. კახეთის გზატკრცილი მე-20 კილომეტრი

თარიღი		
კორექტირება		
№	კორექტირება	თარიღი
1		
2		
3		
4		
5		
6		

თანამფლობელი	გეგრე	ხელმოწერა
დირექტორი	დ. კობახიძე	
არქიტექტორი		
არქიტექტორი		
შეასრულა	დ. კობახიძე	
საპროექტო ორგანიზაცია		მისამართი
შ.პ.ს. "სილვა გრუპი"	ქ. თბილისი. TEL: 551 60 62 26	

გეგმა		
მასშტაბი	——	
თარიღი	15/04/2018წ	
სტადია	ფორმატი	ფურცლები
პროექტი	A-3	



ფორმატი	თბილისი 2018წ დაკვეთა №	ფაილის სახელი

შენობა ნაგებობის ფუნქცია

საწყობი

ტექ. მაჩვენებლები

პირობითი აღნიშვნები:

ნაკვეთის საზღვარი

ჭრილის ხაზი

არქიტექტურული ნიშნული

დამკვეთი: შპს "ფრანკო"

მისამართი:

ქ. თბილისი. კახეთის გზატკრცილი მე-20 კილომეტრი

თარიღი		
კორექტირება		
№	კორექტირება	თარიღი
1		
2		
3		
4		
5		
6		

საპროექტო ორგანიზაცია

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	დ. კობახიძე	
არქიტექტორი		
არქიტექტორი		
შემსრულებელი	დ. კობახიძე	
საპროექტო ფირმა		ბეჭედი

შ.პ.ს.
"სილვა გრუპი"

თბილისი.
TEL: 551 60 62 26

რენდერი		
მასშტაბი	——	
თარიღი	15/04/2018წ	
სტადია	ფორმატი	ფურცლები
პროექტი	A-3	



ფორმატი	თბილისი 2018წ დაკვეთა №	ფაილის სახელი

შენობა ნაგებობის ფუნქცია

საწყობი

ტექ. მაჩვენებლები

პირობითი აღნიშვნები:

- ნაკვეთის საზღვარი
- ჭრილის ხაზი
- არქიტექტურული ნიშნული

დამკვეთი: შპს "ფრანკო"

მისამართი:

ქ. თბილისი. კახეთის გზატკეცილი მე-20 კილომეტრი

თარიღი		
კორექტირება		
№	კორექტირება	თარიღი
1		
2		
3		
4		
5		
6		

საპროექტო ორგანიზაცია

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	დ. კობახიძე	
არქიტექტორი		
არქიტექტორი		
შეასრულა	დ. კობახიძე	

საპროექტოს ლოგო — მისამართი

შ.პ.ს. "სილვა გრუპი"

ქ. თბილისი

TEL: 551 60 62 26

რენდერი		
მასშტაბი	———	
თარიღი	15/04/2018წ	
სტადია	ფორმატი	ფურცლები
პროექტი	A-3	

"SILVA GROUP" LLC 400234260

დენდროლოგიური პროექტი

თარიღი: 20/ 04/2018წ.

მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი მე-20 კმ (ნაკვეთი 01/023)
საკადასტრო კოდი: N 01.19.15.001.023
დამკვეთი: შ.პ.ს. „ფრანკო“

ზოგადი ნაწილი

ქალაქის ლანდშაფტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მწვანე ნარგავებს, რომლებიც განიხილებიან როგორც განუყოფელი და უმნიშნელოვანესი შემადგენელი ნაწილი ქალაქის დაგეგმარების და კეთილმოწყობის საქმეში.

ნარგავების დიდი მასივების (პარკები და ტყეპარკები) გვერდით, გამწვანების სისტემის შემადგენლობაში შედიან ნარგავები: საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღების, სკოლების, დაწესებულებების, სკვერების და სხვათა მიმდებარედ. სწორედ ეს ნარგაობები შეადგენენ ქალაქის გამწვანების ძირითად შემადგენელ ნაწილს, ისინი მვ განსაზღვრარავალმხრივენ გარემო პირობებს და ქალაქის იერსახეს. გამწვანების სრულყოფილი სისტემის შექმნა კომპლექსური პროცესია, დაკავშირებული მრავალ ქალაქმშენებლობის, არქიტექტურული, კულტურულ-შემეცნებითი, მხატვრულ, აგროტექნიკურ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებთან.

ქალაქის განაშენიანებაში მწვანე ნარგავების როლი ერთობ დიდია, რომელიც, ზემოქმედებას ახდენს ჰაერის შემადგენლობაზე, სისუფთავესა და იონიზაციის პროცესზე, ხელს უწყობს ქალაქის გარემოს გაჯანსაღებას, აუმჯობესებს მიკროკლიმატს, ასუსტებს ძლიერი ქარების უარყოფით ზემოქმედებას, წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას ქალაქში არსებული ხმაურის წინააღმდეგ, მონაწილეობს ქალაქის საინჟინრო კეთილმოწყობასა და მელიორაციულ საკითხებში, წარმოადგენენ ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას, ხელს უწყობენ ტერიტორიების არქიტექტურულ-სამშენებლო ორგანიზებას, ასევე ამაღლებენ ქალაქის მხატვრულ ღირებულებას.

ხეები და ბუჩქები - მწვანე მშენებლობაში

ხეებისა დაბუჩქების შემადგენლობა, მათი გაშენების ფორმა და განთავსება ტერიტორიაზე, დამოკიდებულია მასზე, თუ როგორია მიზნობრივი და არქიტექტურულ-დაგეგმარებითი დანიშნულება გასაშენებელი მწვანე ნარგაობის: ტყეპარკი, პარკი, ბაღი, სკვერი.

მცენარეული მასალის გამოყენების მეთოდი სხვადასხვაა, მაგრამ ძირითადად შესაძლებელია შემდეგი ფორმით: ტყის მასივები, წარაფები („როშჩა“), ხეებისა და

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ +995 551 606226

ბუჩქების ჯგუფები, ერთეული ხეები (სოლიტერები), ხეივნები, მწვანე კედლები, ცოცხალი ღობეები, ბორდიურები, ვერტიკალური გამწვანება.

მწვანე მასივები და წარაფები („როშჩა“) - ტყის მსგავსი მასივები გამოიყენება დიდ პარკებსა და ტყეპარკებში იმისათვის, რომ შექმნას ბუნებრივი ტყის ლანდშაფტი, მისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით. ასეთი მწვანე მასივები ხშირად ემსახურებიან ქარებისა და თოვლისგან დაცვას და ასუფთავებენ ჰაერს. მათ შესაქმნელად ძირითადად გამოიყენება 1- დან 4 ჰა - მდე ფართობი და ათეულობით ჰექტარი ტყეპარკში.

ტყის მასივები, მათი შემადგენელი მთავარი სახეობების შესაბამისად იყოფიან წიწვოვნებად და ფოთლოვნებად. ხეები, რომლებიც განსაზღვრავენ მცენარეულ საფარს და ქმნიან ტყის ტიპის მასივებს შესაბამისი ადგილმდებარეობისათვის, ეწოდებათ „ედიფიკატორები“ (მშენებლები). ედიფიკატორები - საფუძველნი არიან პარკებისათვის. ეგზოტიკური მერქნიანი მცენარეები მართალია ხასიათდებიან მეტი დეკორატიულობით, მაგრამ ჩამორჩებიან ადგილობრივ სახეობებს გამძლეობით, სიცოცხლის ხანგრძლივობით და უნარით - შექმნან ტყის მასვები. არსებობენ გამონაკლისებიც, რომლებიც დიდი ხნის წინ აპრობირებულნი იყვნენ, კარგად არიან აკლიმატიზირებულნი და ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია შექმნან ტყის მსგავსი მასივები, მაგალითად შავი ფიჭვი.

შემადგენლობის მიხედვით ტყის მასივები შეიძლება იყოს წმინდა (ერთი სახეობისგან შემდგარი) და შერეული (რამოდენიმე სახეობისგან შემდგარი). სტრუქტურის მიხედვით კი - ერთ იარუსიანი (როდესაც ნარგაობა ერთ სიბრტყეშია) და მრავალიარუსიანი, როდესაც ხეების ვარჯები განთავსებულია სხვადასხვა სიბრტყეში. აღნიშნული იარუსიანი სტრუქტურა გვაძლევს შესაძლებლობას წმინდა - ერთი სახეობისგან შემდგარი კორომი გადავაქციოთ მრავალსახობრივ კორომად, რასაც გამწვანებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

შეზღუდული ფართობის მქონე პარკებში ქმნიან წარაფებს (როშჩა) - დიდი რაოდენობის ხეებისგან (50-100 ძირი), ან მცირე ზომის ტყის მასივებს (0,25-0,5ჰა), რომლებიც ძირითადად შედგება ერთი სახეობისგან: მუხა, ფიჭვი, ცაცხვი, იფანი, ნეკერჩხალი და სხვა. მნიშვნელოვანი რაოდენობის ერთი და იგივე სახეობის ეგზემპლარები წარაფს აძლევენ თავისებურ იერს.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი მე-20 კმ (ნაკვეთი 01/023), საკადასტრო კოდი: 01.19.15.001.023, მთლიანი ფართობი შეადგენს 6753 კვმ–ს, ხოლო კ3 ფართობი შეადგენს 1376.65 კვ.მ–ს, სადაც განხორციელდება 100 ძირი მარადმწვანე კვიპაროსის სტანდარტული ნერგის (3.5 მ სიმაღლის) და 30 ძირი ტუიას სახეობის ბუჩქის დარგვა. დამატებით ტერიტორიაზე განხორციელდება მდელოს ტიპის მოლის მოწყობა 1376.65 კვმ-ზე.

დასარგავ მცენარეთა ზოგადი დახასიათება

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი B-412, ტელ +995 551 606226

მარადმწვანე კვიპაროზი (Cupressus sempervirens).



კვიპაროზი (კვიპაროსი) (Cupressus) — მარადმწვანე ხეების, იშვიათად — ბუჩქების, გვარი კვიპაროზისებრთა ოჯახიდან. პირამიდული ან გაშლილვარჯიანი ხეა. აქვს ყავისფერი ქერქი და ჯვარედინ-საპირისპიროდ განლაგებული ქერქლისებრი წიწვები. მეტწაკლებად მსხვილი, ბურთის ფორმის გირჩები დარგვიდან მეორე წელს მწიფდება. გვარში 15-20 სახეობაა. გავრცელებულია ევროპის, აზიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ჩრდილოეთ ამერიკის ზომიერად თბილ სარტყელში. ყირიმში, კავკასიასა და შუა აზიის ზოგ რაიონში კულტივირებულია კვიპაროზის 11 სახეობა. საქართველოში 9 სახეობაა შემოტანილი. მათგან უფრო ფართოდაა გავრცელებული **მარადმწვანე კვიპაროზი (Cupressus sempervirens).** ამ ხის სიმაღლე 30-60 მ აღწევს. ცნობილია მისი ორი ფორმა: პირამიდული და ჰორიზონტული. კვიპაროზი მეზოფიტია, იტანს 20°C-მდე ყინვას, ნიადაგის მიმართ საკმაოდ უპრეტენზიოა. კვიპაროზის სამშობლოდ ითვლება ჰიმალაის მთების სამხრეთ კალთები. XIX საუკუნემდე პირამიდულ კვიპაროსს საქართველოში ალვის ხეს ეძახდნენ. ეს სახელი საქართველოში მაზდეანობის გავრცელებას უკავშირდება. სახელი „ალვის ხე“ ანუ „წვის ხე“ თავისი ვიწრო, პირამიდული ჰაბიტუსის გამო, მართლაც, უხდებოდა მარადმწვანე კვიპაროსს, როგორც მაზდეანური სარწმუნოების სიმბოლოს.

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი B-412, ტელ +995 551 606226

საქართველოში ასევე იზრდება ლუზიტანური, ჰიმალაური, არიზონული და სხვა კვიპაროსები, რომლებსაც იყენებენ ქარსაფარ ზოლებად და დეკორატიულ გაღმშენებლობაში. კვიპაროზის სინონიმია სარო.

ტუია (Thuja)



ტუია (ლათ. Thuja) — წიწვოვან მცენარეთა გვარი კვიპაროზისებრთა ოჯახისა. მარადმწვანე ხეები და ბუჩქებია. მათი სიმაღლე 20—60 მ აღწევს. აქვთ ბრტყელი ყლორტები, ქერქლისებრი მოპირისპირედ განლაგებული წიწვები, პატარა და მოგრძო გირჩა. გვარი შეიცავს 5 სახეობას, რომლებიც ბუნებრივად არიან

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ +995 551 606226

გავრცელებულ ჩრდილოეთ ამერიკასა და აღმოსავლეთ აზიისსუბტროპიკული ზომიერი ჰავის სარტყლებში. ბიოტას სამშობლოდ ითვლება ჩინეთი და კორეა. კავკასიაში (მათ შორის საქართველოში) მწვანე მშენებლობაში იყენებენ ინტროდუცირებულ 3 სახეობას, რომლებიც მაღალდეკორატიულობითა და გვალვაგამძლეობით გამოირჩევა. ტუიას მერქანი რბილია, ხმარობენ ქაღალდის მრეწველობაში. ტუია გვალვაგამძლეა. კარგად იტანს სხვლას.

მწვანე ნარგავების გაშენების აგროტექნიკა

• ნიადაგის მომზადება

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

ნიადაგის კვლევის შედეგები:

ნიადაგის ტიპი - მდელოს ყავისფერი ნიადაგი
ნიადაგის მექანიკური შემადგენლობა - მძიმე თიხნარი ნიადაგი
კარბონატობა $CaCO_3$ - 8 -15%
ნიადაგის არის რექაცია pH – 7,2 -7,8
მოძრაობის ფორმები - საკვები ელემენტები:

1. ჰიდროლიზური აზოტი A -3,3 მგ- 100 გრ ნიადაგში;
2. ხსნადი ფოსფორი P_2O_5 -3,9 მგ- 100 გრ ნიადაგში;
3. გაცვლითი კალიუმი K_2O -22-28 მგ -100 გრ ნიადაგში.

ამასთან თან ერთვის ბიოაგრო მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის ნიადაგის კვლევის შედეგები. არსებულ ნიადაგზე შესაძლებელია ხე–მცენარეების დარგვა–გადარგვა.

ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა–გაფხვიერება–განახლება;

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი B-412, ტელ +995 551 606226

4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
8. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ – დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
9. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა–ფორმირების სამუშაოები.

მოლის მოწყობა და მოვლა

ბალახისაგან მოწყობილ მოლს გარდა დეკორატიული დანიშნულებისა სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულებაც აქვს, იგი წმენდს, აგრილებს და ზომიერს ხდის ჰაერს, ხოლო ქუჩებში - ხელს უწყობს მერქნიანი მცენარეების ნორმალურ ზრდა-განვითარებას. დაბუჩქული ბალახი, რომელსაც ღრმად აქვს მიწაში გადგმული ფესვები, ნიადაგიდან იწოვს და ფოთლების საშუალებით დიდი რაოდენობით აორთქლებს წყალს, რაც აგრილებს და ასუფთავებს ჰაერს.

მოლის კლასიფიკაცია

მოლის დანიშნულებისა და ხანგრძლივობის მიხედვით (ერთწლიანი, მრავალწლიანი) ყოფენ ორ ძირითად ჯგუფად: დეკორატიულ და სპორტულ მოლებად. დეკორატიულ მოლს კი, თავის მხრივ, ყოფენ: ა) პარტერის (ყვავილნარებთან ან ცალკე), ბ) ჩვეულებრივ, ბაღებში, ქუჩებსა და სკვერებში არსებულს და გ)მდელოს ტიპის მოლს - პარკებსა და ტყეპარკებში არსებულს.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ხდება მდელოს ტიპის მოლის მოწყობა.

მოლის მცენარეთა ასორტიმენტი

ადგილობრივი ბალახები ეგზოტიკურთან შედარებით უფრო გამძლე, ლამაზია და ხანგრძლივად ცოცლობს, ფოთოლი ნაზი აქვს და ხშირი იზრდება, კარგად იბუჩქება და 1მ²- ზე მეტ ყლორტებს ივითარებს. კრეჭის ან თიბვის შემდეგ კარგად ბარტყობს, სწრაფად ივითარებს კვირტს და ახალგაზრდა, ნაზი, ნორჩი, მწვანე საფარით, მოკლედ ხანში ქმნის მოლს. კარგად იტანს ფეხით გათელვას, გვალვა და ყინვაგამძლეა.

ნიადაგის მომზადება მოლისთვის

ნიადაგის სრულფასოვნად დამუშავებაზეა დამოკიდებული მოლის ხარისხი და გამძლეობა. ნიადაგის დამუშავება უნდა მოხდეს შემოდგომაზე ან ზამთარში 15-20 სმ. სიღრმეზე. გაზაფხულამდე ნახნავი იყინება, იფიტება, ბელტები იშლება, ტენიანდება, სარეველების ძირები და ფესვები - ნაწილობრივ იღუპება. გაზაფხულზე უნდა მოხდეს ნიადაგის ხელმეორედ გადახვნა, გადაფარცხვა, სარეველებისაგან გაწმენდა, ნიადაგის შემადგენლობის, და მისი

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ +995 551 606226

დანიშნულების შესაბამისად საჭირო რაოდენობისა და სახის სასუქის შეტანა, რის შემდეგადაც უნდა მოხდეს ნიადაგის გადაფარცხვა.

ნიადაგის ზედაპირი უნდა მოსწორდეს და მიეცეს პროექტით გათვალისწინებული ქანობის ფორმა, დიდი სიზუსტით უნდა მოხდეს ნიადაგის მოსწორება.

თესვის ვადა და წესი

თესვის ნარევის მომზადებისა და ნიადაგის დამუშავების შემდეგ, იწყება თესვა. თესვის დაწყებამდე ნიადაგის ზედაპირს ხელის ფოცხით საბოლოოდ ასწორებენ, აცლიან შერჩენილ სარეველებს. თესვისათვის ყველაზე კარგი დროა გაზაფხული (მარტი, აპრილი) ან გვიანი შემოდგომა. ყვავილნარებისა და პარტერებში, ასევე, ყველა იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია მორწყვა, თესვა შეიძლება მაისსა და ივნისშიც.

თარგების მოყვანილობისა და ზომის მიხედვით ხდება თესვა ხელით მობნევით ან სათესი მანქანით, წყნარ უქარო ამინდში. თესლი თანაბრად რომ დაგანაწილდეს ფართობზე, დასათესი თესლი იყოფა 2 ნაწილად და თესვა ხდება ორი მიმართულებით, გარდიგარდმო (სწორი კუთხით). თუ ითესება სხვადასხვა ზომის თესლი (რაც თესვისას იწვევს არათანაბარ გადანაწილებას), საჭიროა მისი ასევე ორ ნაწილად (სიმსხოს მიხედვით) თესვა გარდიგარდმო. გზის ნაპირები, მოლის ვიწრო ზოლები, პარტერებსა და ყვავილნარების მცირე ნაკვეთები - ითესება შედარებით სქლად, ვიდრე სხვა ფართობები. თესვის დამთავების შემდეგ 0,5 – 2 სმ. სიმაღლეზე თესლს უნდა გადაეყაროს მიწა და ფრთხილად დაიტკეპნოს.

მშრალ ამინდში, თესლის ამოსვლამდე, საჭიროა მოლის ზედაპირის დანამვა (დაწვიმებით მორწყვა - მცირე ჭავლით, რომ თესლი არ ამოცვივდეს ზედაპირზე).

ძლიერ ტენიანი ნიადაგების დატკეპვნა არ არის საჭირო, რადგან იწვევს მიწის ზედაპირის გადალესვას და უარყოფითად მოქმედებს თესლის გაღივებასა და აღმოცენებაზე, მის ზრდა-განვითარებაზე.

მოლის მოვლა

სათანადო და რეგულარული მოვლის შემთხვევაში, მოლმა შეიძლება ათეული წლების განმავლობაში იარსებოს და არ დაკარგოს როგორც დეკორაციული, ასევე ხარისხობრივი მნიშვნელობა, ასევ, არ იქნება საჭირო მისი ხელმეორედ მოწყობა და კაპიტალური რეკომენდაცია.

მოლის სწორი და კარგი მოვლა განაპირობებს ბალახების ნორმალურ ზრდა-განვითარებას. მოლი უნდა იწმინდებოდეს როგორც სარეველებისგან, ასევე ქვებისა და სხვა ნარჩენებისგან, საჭიროებს სისტემატურ კრეჭას, თიბვას, რწყვას და სხვა.

თიბვა - თანაბარი, ლამაზი და მწვანე ბალახოვანი საფარის მისაღებად საჭიროა მოლზე, ბალახის დროული და სისტემატიური თიბვა, რის შედეგადაც მცენარეები უკეთ ბარტყობენ და იქმნება შეკრული და მკვრივი კორდი. თიბვის შემდეგ მცენარე ივითარებს უამრავ ახალ მწვანე ყლორტებს, ხოლო ერთწლიანი სარეველა ბალახი კი - ისპობა.

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი B-412, ტელ +995 551 606226

მოლის გათიბვა უნდა ხდებოდეს მაშინ, როცა ბალახის ნორჩი ყლორტების სიმაღლე 10-12 სმ-ს მიაღწევს, რადგან უფრო მაღალი ბალახი უხეში ხდება, ყლორტების ქვედა ნაწილი შიშვლდება და ღეროები იწყებენ ყვავილობას. გარდა ამისა, მაღალი ბალახის გათიბვა უფრო რთულია. გათიბვა უნდა წარმოებდეს 12-115 დღეში ერთხელ.

მიუდგომელ ადგილებში ბალახი იკრიჭება ბორდიურის მაკრატლით 2-3 სმ. სიმაღლეზე. მოლის ნაპირები, განსაკუთრებით პარტერებსა და ყვავილნარების ირგვლივ, უნდა გაიკრიჭოს და შესწორდეს საპროექტო ნახაზის შესაბამისად, რადგან მოლი ხშირად გადადის ნაპირებზე, ედება გზებს, მოედნებს და ქმნის უსწორმასწორო ნაზახებს.

გათიბული ბალახი აღებული უნდა იქნას მაშინვე, ვინაიდან დარჩენილი ბალახი იწვევს მოლის გაყვითლებას და ამოხუთვას.

მოლის მორწყვა

წყლის სიმცირე უარყოფითად მოქმედებს მცენარის განვითარებაზე, ყლორტების წარმოქმნის უნარზე, მის ხარისხზე, ფოთლის ელასტიურობასა და შეფერილობაზე.

რწყვა წარმოებს ისე, რომ ნიადაგის ზედა ფენა გაიჟღინთოს 5- 12 სმ სიღრმემდე. მცირე რწყვა, მხოლოდ ზედაპირის 1 – 3 სმ. სიღრმემდე საზიანოც კია, ჭარბი რწყვით კი, მცენარე ღრმად უშვებს ფესვებს ნიადაგში.

განსაკუთრებით რეგულარული რწყვას მოითხოვს მოლი დათესვის შემდეგ, გაღივების პერიოდში და აღმოცენების ამოსვლის პირველ ხანებში. მცირე ზომის მოლზე და განსაკუთრებით პარტერებში, რწყვა ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს, ერთხელ ან ორჯერ. დილით ადრე და საღამოთი. დიდი მოლის მორწყვა შეიძლება დღისითაც, თუ იგი ჭარბადაა მორწყული. მორწყვის საჭიროება და რაოდენობა დამოკიდებულია ადგილის კლიმატურ და ნიადაგურ პირობებზე, ასევე ბალახის სახეობაზე.

წყლის საშუალო მოთხოვნილება გვალვიან რაიონებში მთელი სეზონის განმავლობაში - 1მ^2 მოლის მოსარწყავად წაჭიროა საშუალოდ 0,8 -1მ^3 წყალი. მოლის მორწყვა უმჯობესია დაწვიმებით.

მოლის ზედაპირის კვება

ხშირი თიბვით მოლის ნიადაგი იფიტება, ხდება თანდათან გაეწერება. ნათიბი ბალახის მოლი კარგავს საკმაო რაოდენობის საკვებ ნივთიერებებს. ნიადაგის გაღარიბება დამოკიდებულია დროსა და თიბვის რაოდენობაზე და მკვეთრად იცვლება.

მოლის ნორმალურ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად საჭიროა ნიადაგში სასუქის შეტანა (იხ ნივთიერებების, რომლების ნაკლებობაც განიცდის ნიადაგი, ნიადაგური კვლევის დასკვნის საფუძველზე). მაგ: შეიძლება შეტანილი იქნას ნაკელი (გადამწვარი) ან კომპოსტი - გვიან შემოდგომიდან ადრე გაზაფხულამდე (1ჰა. 200-500 მ^3), იმ ვარაუდით, რომ ზოლის ზედაპირზე 2-3 სმ სისქით მოეყაროს (თანაბრად უნდა განაწილდეს მთელ ფართობზე).

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი B-412, ტელ +995 551 606226

შესაძლებელია მოლის მორწყვა წუნწუხით (წყალშიგახსნილი ნაკელი), თვეში ერთხელ (1მ²-ზე 10-20 ლიტრი).

კორდის მოვლა და განახლება

ხშირად მოლის ზედაპირზე ჩნდება ხავსი, ამიტომ საჭიროა კორდის ზედაპირის გაფხვიერება და ხავსის მოშორება. კორდის ზედა ფენის გაფხვიერება ხელს უწყობს ჰაერის გამტარიანობას ნიადაგის ქვედა ფენაში, აუმჯობესებს მის ფიზიკურ თვისებებს. გაფხვიერება ადრე გაზაფხულზე ხდება (ხელის ფოცხის ან სპეციალური იარაღების გამოყენებით). აჩეჩილი ხავსი და ხმელი ბალახის ღეროები გამოტანილი უნდა იქნას ფართობიდან ფოცხით.

ასეთი მოვლის ღონისძიებების შემდეგ, შედარებით უფრო გაძლიერდება ბარტყობა და დაჩქარდება მკვრივი კორდის შექმნა. მოვლა უნდა ჩატარდეს ყოველწლიურად ან 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც, რადგან ზოგიერთი ბალახი იღუპება და მოლზე რჩება ცარიელი - მოტიტვლებული ლაქები. თუ მოლის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია (საჭიროა მიზეზის შესწავლა). უნდა მოხდეს მოლის აღდგენა - რეკონსტრუქცია. ნიადაგი უნდა გადაიბაროს. თუ მოლზე ცოტა ნარგავებია, უნდა მოიხსნას ნიადაგის ფენა 15-20 სმ სიღმეზე და ამოიკრიფოს მრავალსწლიანი სარეველების დესვები და ფესურები. ნიადაგში, დაფარცხვის შემდეგ, შეტანილი უნდა იქნეს საჭირო რაოდენობის სასუქი და შემდეგ დაითესოს მოლის ბალახის ნარევი.

მოვლა-პატრონობა განხორციელდება პროექტის დაწყებიდან 3 წლის განმავლობაში.

დირექტორი **დავით კობახიძე**

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ +995 551 606226

BioAGRO
მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი
- CENTER of BIOLOGICAL PROTECTION of PLANTS

36-02-18

5 აპრილი 2018 წ.

შ.პ.ს. „ფრანკოს“ (ს/კ 431171199) დირექტორს
ბატონ **კარპეზი შუკაკიძეს**

საექსპერტო დასკვნა

ბატონო **კარპეზ**,

თქვენს მიერ ა/.წ. 3 აპრილს წარმოდგენილ ნიადაგის ნიმუშებს შ.პ.ს. „ბიოაგრო“-მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის ექსპერტების მიერ (შ. ყანჩაველი, ლ. რეხვიაშვილი, კ. კიკორია) ჩაუტარდა ფიტოსანიტარული მონიტორინგი მავნე ორგანიზმების გამოვლენის მიზნით.

ლაბორატორიული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ნიადაგის იმ ნიმუშებზე (6 ნიმუში) რომელიც აღებული იყო ნაკვეთის შესასვლელის მარჯვენა მხარეს გამოვლინდა ჩვეულებრივი მახრას განაყოფიერებული კვერცხები და ერთეული რაოდენობით ცრუმავთულა ჭიის მატლები, პათოგენური სოკოებიდან ალტერნარიას და ქსილოჭიპას გვარის სოკოები და ასევე სხვადასხვა საპროფიტი სოკოები, ხოლო ნაკვეთში შესატანი ნიადაგის (მწირი ნიადაგი) ნიმუშებზე (2 ნიმუში) მავნე ორგანიზმები არ გამოვლენიდა.

ამრიგად, ტერიტორიაზე არსებულ ნიადაგში შესაძლებელია სასოფლო სამეურნეო კულტურების და დეკორატიული მცენარეების გაშენება, ხოლო შეტანილი ნიადაგი აუცილებლად უნდა განაყოიერდეს ორგანული (ნაკელი, კომპოსტი) და მინერალური (კომბინირებული N P K ჯგუფი) სასუქებით.

შ.პ.ს. „ბიოაგრო“ მცენარეთა ბიოლოგიური
დაცვის ცენტრის დირექტორი კ. კიკორია

BioAGRO 404922394

სამეცნიერო ხელმძღვანელი შ. ყანჩაველი

ლაბორატორიის უფროსი ლ. რეხვიაშვილი

ტელ.: (+995) 790 685884; ელფოსტა: bioagro.ge@gmail.com; ს.კ. 404922394